მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 10

2011 წლის 21 იანვარი

ქ. მცხეთა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის_ “მცხეთის უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის”_დაფუძნების და მისი წესდების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის 2-ე პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის და 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ’’ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. დაფუძნდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -“მცხეთის უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის’’ და დამტკიცდეს მისი წესდება დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში. მცხეთა, სამხედროს ქუჩა №17.

საკრებულოს თავმჯდომარე ანდრო კალანდაძე

დანართი 1

დამტკიცებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2011 წლის 21 იანვრის #10 განკარგულებით.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

“მცხეთის უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის”

წ ე ს დ ე ბ ა

Mმუხლი 1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი “მცხეთის უფასო სასადილო … მზრუნველობამოკლებულთათვის”:

1 “მცხეთის უფასო სასადილო … მზრუნველობამოკლებულთათვის” (შემდგომში-სასადილო) არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და მისი მიზანია მცხეთის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენის კვება.

.2 სასადილოს დამფუძნებელია მცხეთის მუნიციპალიტეტი.

3 სასადილო შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

Mმუხლი 2. სახელწოდება, იურიდიული მისამართი და სტატუსი:

1 სასადილო თავის საქმინაობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონებით, ამ დებულებით, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებით და სხვა ნორმარიული აქტებით.

2 სასადილოს სრულის სახელწოდებაა” არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი “მცხეთის უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის ”

3 სასადილოს იურიდიული მისამართის საქართველო, ქ. მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქ. #73.

4 სასადილო არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და სასამართლოში შეუძლია გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

5 სასადილოს გააჩნია იურიდიული პირის ყველა ატრიბუტი დადგენილი წესით რეგისტრირებული მრგვალი ბეჭედი თავისი დასახელებით, შტამპი, ბლანკი, დამოუკიდებელი ბალანსი, სათანადო ანგარიშები და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

Mმუხლი 3. სასადილოს საქმინაობის მიზანი და საგანი:

სასადილოს მიზანია სოციალურად დაუცველი და მზრუნველობას მოკლებული მოსახლეობის კვება.

Mმუხლი 4. სასადილოს მართვა:

1 სასადილოს მართვას ახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტი სასადილოს აღმასრულებელი დირექტორის მეშვეობით, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მცხეთის მუნიცპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

2 მხოლოდ დამფუძნებელი _ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოა უფლებამოსილი:

ა) შეცვალოს სასადილოს წესდება, გადაწყვიტოს მისი რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხი;

ბ) შეიძინოს და გაასხვისოს ძირითადი საშუალებები;

გ) განასზღვროს საქმინაობის ძირითადი პრინციპები;

დ) მიიღოს გადაწყვეტილებები კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

3 აღმასრულებელი დირექტორი:

ა) საქმეებს უძღვება ერთპიროვნულად, მასვე ეკისრება სასადილოს წარმომადგენლობა და პერსონალურად აგებს პასუხს მისი საქმიანობის სწორად წარმართვაზე; დადგენილი წესით ნიშნავს და ათავისუფლებს სასადილოს თანამშრომლებს;

ბ) მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს სასადილოს სტრუქტურას, საშტატო განრიგს და ხელფასის ფონდს დასამტკიცებლად;

გ) კანონმდებლობის შესაბამისად განაგებს სამსახურის ფინანსურ და მატერიალურ საშუალებებს, ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა სასადილოს სარგებლობაში არსებულ ქონებაზე, ფულადი სახსრების მიზნობრივად ხარჯვაზე;

დ)დადგენილი წესით ხსნის ანგარიშებს და ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ შესაბამის გადარიცხვებს;

ე) წარმართავს შრომით ურთიერთობებს, დებს შრომით ხელშეკრულებებს;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს, ახორციელებს სასადილოს ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის აუცილებელ კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას;

ზ) უზრუნველყოფს დამფუძნებლის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

მუხლი 5. სასადილოს ქონება

სასადილოს ბალანსზე არსებული ქონება, სხვა ქონებასთან ერთად გამოიყენება მხოლოდ დებულებით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.

მუხლი 6. სასადილოს ფინანსური სახსრები

1. სასადილოს ფინანსური სახსრებია:

ა) მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ სასადილოს დებულებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი.

მუხლი 7. სასადილოს საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება

სასადილო ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დადგენილ ვადაში წარუდგინოს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

მუხლი 8. სასადილოს საქმიანობის კონტროლი:

1 სასადილოს საქმინაობის კონტროლს ახორციელებს დამფუძნებელი _ მცხეთის მუნიციპალიტტეის საკრებულო.

2 საჭიროების შემთხვევაში დამფუძნებელი ნიშნავს კონტროლიორს ან ავალებს სასადილოს საქმიანობის კონტროლს მცხეთის მუნიცპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურს.

3 სასადილოს საქმიანობის კონტროლს სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოები ახორციელებენ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. სასადილოს რეორგანიზაცია-ლიკვიდაცია:

1 სასადილოს რეორგანიზაცია-ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2 სასადილოს ლიკვიდაციის დროს მისი ქონება უბრუნდება მუნიციპალიტეტს.

3 სასადილოს ლიკვიდაცია ხორციელდება დამფუძნებლის ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები:

სასადილოს წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.